ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.
№ 25 (1463) 28. VI. – 1. VII. 1996 წელი

ჩურჩულის ახსნა
ანუ
რას ეტყოდა ბ-ნი ედუარდი ბატონ ვახტანგს?

1. 1992 წლის ოქტომბერი

ასრე უთხრა: სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ ყმა ხარ გონიერი, არავინ მყავს შენად
სწორად,
მერმე შენაც გურული ხარ, დასტურია არ ნაჭორად,
ერთად ვიყოთ, ერთნი ვიყოთ, არ გავიყოთ სამად,
ორად...

2. 1995 წ. ნოემბერი

უბრძანა: ბეტყვი საქმესა, შენთან სასაუბნაროსა,
შენ ახლა წახვალ, სხვა მოვა
სასპიკერტრიბუნაროსა.
შენ ჯიუტობა დაგაჩნდა, ჭირი, სხვა ჭირზედ ძნელია
ქვანია დავსვათ სპიკერად ვისგან მზე საწუნელია.



„ზვიადისტის", „შევარდნაძისტის", „არავისტის"
სამი შეკითხვა და გაბრაზებული თენგიზ
კიტოვანის პასუხები იხილეთ მე-4 გვერდზე

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

ვინ იყო ვინ?

ვახტანგ გოგუაძე:

ედუარდ შევარდნაძე საიდუმლოს ცოლ-შვილსაც არ ეტყვის

ზოგი მწარე და ზოგიც ნელთბილი შეკითხვა ბატონ ვახტანგ გოგუაძეს

კითხვა:

— ბატონო ვახტანგ, თქვენს ერთ-ერთ სოლიდური მოცულობის წიგნს ასეთი სათაური ჰქვია: „მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“

არ გეშინიათ მომავლისა წარსულის გამო? კი, როგორც მეცნიერი, როგორც პედაგოგი, სერიოზული, ღრმა და, რაც მთავარია, პატიოსანი კაცის სახელით სარგებლობთ, მაგრამ თქვენ ხელი გაქვთ მოწერილი 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულებაზე, რომლის ძალითაც სოხუმიდან გამოტანილ იქნა საომარი ტექნიკა, ხელშეკრულებაზე, რომელიც საქართველოსათვის კატასტროფად იქცა. რატომ მოაწერეთ ხელი და საერთოდ განა ვერ გრძნობდით, რომ თქვენ იარაღად გამოგიყენეს როგორც პარლამენტის სპიკერი?

— ჩემს დასახელებულ წიგნს გენიალური სიტყვები აქვს სათაურად (შევახსენებ მკითხველს — ეს გალაკტიონის სიტყვებია!). რაც შეეხება მეშინია - არაშინიას საკითხს, ეს განმარტებულია სატიტული ფურცელზე. რიცა დასახელებულ სათაურს ქვეშ მივწერე: „ღმერთი შენთან“. ასე რომ, არ მეშინია ღვთის იმედით.

რაც შეეხება 27 ივლისის (1993 წ) სხდომის შეთანხმებას (და არა ხელშეკრულებას). ალბათ დადგა დრო, ნათელი მოეფინოს ბნელს. რაც შეეხება გულისხმისას, რომ ეს ბაღონმა ედუარდმა იარაღად გამოიყენა, არ არის სწორი. ჩემს ბრალდებაზე მე ვაგებ პასუხს.

სოჭის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე ორი კვირით ადრე პარლამენტის სხდომაზე მაწყვეტინა გასალდათ თავდაცვის სამინისტრო თუ არ ეცდები. სხდომა დახურული იყო. მას სტენოგრამას. ალბათ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება (სახიფათოდ ამ საკითხს. ალბათ, შემდგომში ვრცელი განხილვები მოეძღვნება). კითხვაზე — რამდენი დღის ტყვია-წამალი გაქვთ, — თავდაცვის სამინისტრო პასუხობდა — დაგვრჩა ორი დღის ტყვია-წამალი. ბ-ნი გია ყარყარაშვილი არწმუნებდა პარლამენტს, ტყვია-წამალი მეტი არა გვაქვს. მაგრამ ბიჭები ლირსეულად ვიომებთ. თუმცა, მინდა ვიცოდეთ ეს ვიომები მე აფხაზეთში. საწყალია, ეს კითხვა არ გაიმეორა ისე, როგორც საჭირო იყო.

მე გითხოვთ, ნუ გადაირბენთ ამ საკითხზე. დაეხსომოთ კარგად: დარჩენილი იყო ორი დღის ტყვია-წამალი. მაგრამ მაინც ვიომებთო. „Безумство храбрых“. ლამაზი რომანტიკაა, მაგრამ მე ამ მოვლენას ვუყურებდი არა რომანტიკულად, არამედ რეალისტურად. ორი კვირის შემდეგ თბილისში ჩამოდის ბორის პასტუხოვი (რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე). ჯგუფი შუამავლობს აფხაზეთში ცეცხლის შწყვეტის შეთანხმების ტექსტზე. 25 იელისს მირეკავს „გრვს“-ს უფროსი ბატონი რეუტი. მეუბნება. რომ საქმე ძალიან ცუდადაა. პასტუხოვი გაგიეებულია. ამათთან ლაპარაკს აზრი არა აქვსო და გარბის. იქნება აუსსნა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს მდგომარეობა. ალვუთქვი, — აუცილებლად დაველაპარაკებიდი. მანამდე ცოტა ხანს ვუიქრობ, რა გვეშველება, ჩვენი ცნობიერება აშკარად კატასტროფას გვიქადის. უმედურების პირველწყარო არის საკუთარი სახელმწიფოებრივი ცნობიერება. რა ჭკუით აპირებ ბრძოლას. გამახსენდა 1989 წლის 8 აპრილის 12 საათი. მთავრობის სასახლის წინ — დემონსტრატებმა რუსეთის ტანკების წინააღმდეგ. მიტინგმა დაიგრიალა. იმპერია დაბარცხეთო. ფერდაკარგული მივედი უნივერსიტეტში. რექტორატში ვიყე: დიდი უმედურება გველოდება. ჩვენ ნორმალურ ჭკუაზე ადარ ვართ. ბატონ ლევან ალექსიძეს ხშირად გაუხსენებია ჩემი ეს შეშფოთება.

დაუბრუნდეთ 25 ივლისს. ავედი ბატონ ედუარდთან. თაობრი ახალდამთავრებული ქონდა. შეშინებულ ლაპარაკს ბატონები ოენგის ხიფეი, ეიტე ბაბაშვილი, ხანდრი კვესიტ.

ეკამე. რაც სათქმელი იყო. ბატონმა ოენგამ, ხიფეიმ და ბატონმა ხანდრი კვესიტაძეც დაადასტურეს. რომ პასტუხოვი მართლაც გაცეცხლებულია. ბატონმა ედუარდმ თქვა. — ეს, მაგრამ ის ტექსტი კამალურია. ამას როგორ მოვაწერთო ხელი.

ერთხელ, წინა პარლამენტის ერთ-ერთ ოპოზიციონერ დეპუტატს ვკითხე: რას ერჩით გოგუაძეს, თუ მას გადააყენებთ, სპიკერად რჩეულიშვილი მოგევლინებათ. გოგუაძე კი ჭკვიანი კაცია-მეთქი. მიპასუხა: ჭკვიანი რომ არის, იმიტომაც ვერჩით. ჭკვიანურად იცავს ამ უსინდისო ხელისუფლებასო.

მას შემდეგ დიდმა დრომ არა, მაგრამ დიდმა მოვლენებმა ჩაიარეს. გოგუაძე ახლა აკრიტიკებს, თუმცა ისევ ჭკვიანურად...

იგი აღარ არის სპიკერი და მეტად აძლევს თავს უფლებას ილაპარაკოს იმაზე, რაზეც ვერ ისაუბრებდა მაშინ, როცა სახელმწიფოში ოფიციალურად მესამე პირი იყო. ეს საუბარი ზოგისთვის შეიძლება გულისმოსაფონებელი იყოს, ზოგი კი უკიდურესობამდე აღაშფოთოს. ერთი რამ ფაქტია, ფაქტოლოგიური თვალსაზრისით საინტერესო ყველასთვის იქნება.

მადლობას ვუცხადებთ ბატონ ვახტანგს არცოუ სასიამოვნო კითხვებზე გაუღიზიანებლად და ოპერატიულად გამოხმაურებისათვის.

რედაქტორი.

— ბატონი ედუარდ. მე ტექსტი არ წამიკითხავს, არ ვიცი მასში რა წერია. მაგრამ რას ვამბობთ? — ვკითხე მე.

— რა მოხდება შენი აზრით?

— თუ ახლანდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, ძალიან ცუდი რამ მოხდება. ორი კვირის შემდეგ ბატონი შევარდნაძე დაურეკავს ბატონ პასტუხოვს. თანაშეწყ ეტყვის:

Борис Николаевич (პასტუხოვი) занят! და დაგიკიდებთ ყურმილს.

— ეს, ეს მართალია. — ირონიაშერევით, მაგრამ დამეთანხმა.

— ბატონი ედუარდ. რამდენი დღის ტყვია-წამალი გვაქვს.

— ორი დღის.

— ვინ უნდა მოგვცეს?

— რუსებმა უნდა მოგვცენ. აბა რას ვეკითხებენ ესენი, აქ რომ არიან?

— ბატონო ედუარდ, ჩვენ ნორმალურები ვართ? რუსი, მომეცი ტყვია. უნდა გესროლო ტყვია?! რუსის ტყვიის იმედით უნდა ვებრძოლით აფხაზეთში რუსებს? გაანებეთ თავი ყოველგვარ შეთანხმებების ქაღალდებს. დაუახეთ ამ რუსებს და უთხარით — რა ხელშეკრულებები აგვიტყდა. ახე უცხოებად რომ ველაპარაკებით ერომარეთს. ამდენი ხანი ვემსახურე რუსეთის ინტერესებს. დაუჯდეთ, გვითხარით რა გინდათ!

— ამას არ ეუბნები მე?

— არა, არა. არ ეუბნებით. თქვენ ეუბნებით, რა გვინდა ჩვენ. თქვენ უნდა ათქმევინოთ. რა უნდათ ამათ. ამას ისინი ადვილად არ გაგიმხელენ. თუ არა და დაღუბვა კარხე აქვს ქვეყანას, მე არ გამიგონია ორი დღის ტყვია-წამლით ომის წარმოება. რისი გვეშინია, რუსეთთან რომ ურთიერთობა მოკაგვაროთ, ისის გვეშინია, ორკონიკიძე და მახარაძე არ დაგვიმახინ?! დამიმახინ. უარესიც დამიმახინ, ოღონდ ქვეყანას ვუშველოთ...

— იცი რა, ვახტანგ, ვიღაცეა მახარაძე რომ ვახელ. ნიკაბეზე წყარო უნდა მოუშვა. — სიცილით განმარტა ჩემი გაცხარება.

— ახლა რა გამოდის, — თქვა კოტე გაბაშვილმა — მთელმა მსოფლიომ იცის. შევარდნაძემ საქართველო გამოიყვანა რუსეთის იმპერიიდან და ახლა უკან უნდა შეაბრუნოს? ბიღლის და ბიღლის თუ დაეხარცხდებით, გმირულად მაინც დავიხოცებით.

— ეტი საქმე არა აქვს იმპერიას. ჩემი კოტე. გმირული ხეკდილი გიბოძის. ხულ ძმისწულელებად და იახსრებად გაგეისტუმრებენ ამა ქვეყნიდან — ვუთხარი მე.

მეორე ღლეს დილით ბრუკავს ბატონი ედუარდი. მორიდებულ შესავალს უკვეთებს სათქმელს. რომ პირველი პირების დონეზე შეხვედრა არ შედგება.

— ბატონო ედუარდ, თქვენ ხომ იცით. მე არ მეშინია. გინდა ორკონიკიძე, მახარაძე, ოუდა შეახინ, ღმერთმა ხომ უკეთ იცის, ვიდრე ხალხმა. ოღონდ სისხლისღვრა შეწყდეს აფხაზეთში, ყველაფერზე მზად ვარ.

სხვათაშორის, ჩვენს პოლიტიკურ აზროვნებას ნაადრევი პოლიტიკური სკლერიზი დასჩემდა და არ უნდათ გაიხსენონ. — ამაში თბილისში გადატრიალების ხუნი ტრიალებდა. ორდღიანი ომის შემდეგ. ტყვიის გარეშე მძიმე ტექნიკა დარჩებოდა ჯართად. 27-ში გაეფრინდი სოჭში. ჩემთან ერთად იყვნენ ბატონები სანდრო კვესაძე. ირაკლი მაჭავარიანი და სხვები. დაწერილებით ისტორიებს არ მოვყვები. მიუხედავად იმისა, რომ იმ დეტალებსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. კორექტირებული ტექსტის ურთიერთშეთანხმების შემდეგ მოვაწერეთ ხელი მე, კოზირევმა და ჯინჯოლავამ. ჩვენს თვითმფრინავს გუდაუთასთან ორმა რაკეტამ გადაუფრინა. მფრინავებმა ეს თბილისამდე არ გვითხრეს.

ერთ ეპიზოდს მაინც გავიხსენებ სოჭის შეხვედრიდან. სიტყვები წარმოთქმული ხელისმოწერებმა (ჩემი სიტყვა ჩვენი ტელევიზიითაც გადაიცა). შემდეგ დიდ დარბაზში, სადაც აფხაზეთის დელეგაციის წევრებიც იყვნენ, ბორის პასტუხოვმა შეშფოთავაზა ბ-ნ კოზირევს და მე კონფიდენციალური საუბრისათვის განმარტოებით დავშორდარიყავით. დაადგმეინა მაგიდა და ორი სკამი (მოშორებით). ჩვენ არ დავსხედით, რადგან დარბაზში ხალხი ფეხზე იდგა. ოხუმელი წუთი ვისაუბრეთ. ვუიქრობ. ძალიან საგულისხმო იყო. მოკლედ. იდეა ასეთი გასალაა — ვიყოთ ერთად?! (ოპონენტები აშაყდებენ ალბათ კალაში. — გუბერნიად შეინიდითო — არა?) ლაპარაკი იყო თანამედროვე დონეზე. თანაარსებობის თანამედროვე ფორმაზე. აქ ესენგე არ გეხსენება.

მე ეოფილიდე ბოვახსენე ბატონ ედუარდს. ნტებს აზრი. შევარდნაძე რუსეთის კაციაო, ამაზე ქვემოთ.

27 ივლისის ცოდვას არ გაკურბივარ. მაგრამ ეკურბივარ. ამის შემდეგ აფხაზეთის საკითხზე არც ერთ თაობირსაც ახლის არ გამაკარეს. სხვათაშორის, კოზირევმა მაშინ მითხრა. ჩასულიყავი მოსკოვში. არც ეს იქნა განხორციელებული. ჩვენ რომ მაშინ რუსეთთან დროული ნაბიჯი გადადგეყდა. დიახ, ესენგეში შესვლით, აფხაზეთში ომი რუსეთს დაგეგმილი არ ქონდა, არ აწყობდა (ალბათ ამ ჟარგონული ფორმისათვის). 27 ივლისის შეთანხმების შემდეგ თვენახევარი აფხაზეთში ტყვია არ გაჟარდილა. ცხადია, იმ ეტაპზე რუსეთი აფხაზეთში ჩვენ არ გაგვანეიტრებდა. იქნებოდა არძინბასთან სატელეფონო საუბრები, ვეწეოდით იქ. ის არ იკადრებდა აქ ჩამოსვლას. მაგრამ იმ საშინელ კატასტროფას მაინც ავცდებოდით. რაც შეეხება მძიმე ტექნიკის ურთიერთკონტროლის ქვეშ გაკეთას. ამ პროცესებისგანაც, საწყუხარიდ, მე შორს ვიყავი. ისე კი, ისიც გულუბრყვილობაა, რომ შენი მძიმე ტექნიკა იქ რაიმეს გააწყობდა. ამ თემას, ალბათ, ისტორია ხშირად განიხილავს. შეგახსენებთ, დარჩენილი გვქონდა ორი დღის ტყვია-წამალი.

ჩვენს ოპოზიციას აქვს ერთი უმთავრესი კრიტერიუმი ეროვნულობისა. თუ რუსეთისკენ მუშტი შემართე, ეროვნული მოღვაწე ხარ, თუნდაც დაიცინ და გადაარჯული ქვეყანა. ამიტომ, თუ გინდა შევარდნაძეს ყველაზე დიდი ბრალდება წაუყენო, უნდა ამტკიცო, შევარდნაძე რუსეთის კაციაო. შევარდნაძე იყო რუსეთის კაცი. კარგა ხანია იგი სხვა საერთაშორისო არარუსულ ძალებთან თანაშრომლობს, რომელსაც ფართოდ დასავლეთი ჰქვია. რუსეთის იმპერიასთან ბრძოლის ნიშნით, ვოხოვ ყველა ოპოზიციონერს, ნუ გეწყინებათ, მეგობრებო, ბატონ ედუარდს ამ მხრივ ვერც ერთი ვერ შეეტრეთი. რა მოგვეტანა ან რას მოგვიტანს ეს. ეს უკვე სხვა საკითხია. არ შემიძლია ამ აზრით არ დავეთანხმო ბატონ ტარიელ ჭანტურიას.:

„ლეონაც ცდილობენ ვიღაც-ვიღაცეები. „ჩაგვტეხონ რუსის ხელში“. და, ყველაზე სწორად, თანმიმდევრულად, კაცურად და, რაც მთავარია. უდიდესი ხელოვნებით ამის წინააღმდეგ იბრძვის სწორედ ის, ვისაც ყველაზე მეტად ბრალდება ეს ცოდვა!“ (ლიტ. საქართველო. 14-21.06.96 ვუიქრობ. არავის სჯერდება ამის გაგრძელება.

გაგრძელება მე-8ვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე გვერდიდან

თუმესი. პრორუსული ორიენტაციის ქართველს ყველაფერი. უნდა მოსწონდეს რუსეთისა და ქედს უხრიდეს ყოველ მის თავნებობას. ამ ცალმხრიობის დაძლევის კლასიკური სახე ილია ჭავჭავაძეა. არავის ისეთი თბილი, ძმური სიტყვები არ უთქვამს რუსეთისადმი, როგორც დიდმა ილიამ, თავისი მაღალი ეროვნული ღირსების წარდგინებით. არცერთ ქართველს ისეთი კვალიფიციური სილა არ გაუწნავს რუსი შოვინისტებისათვის, როგორც დიდმა ილიამ. მე, მისი რიგითი მიმდევარიც, ასე ვფიქრობ. 1993 წლის 16 სექტემბერს აღშფოთების დეპეშა გავუგზავნე ბატონებს ბორის ელცინს, ვლადიმერ კოზირევს და პაველ გრაჩოვს. ტექსტი ჩვენი მაშინდელი პარლამენტის 44 წევრის თანხლებით, „გრკზ-ს" შტაბში რუსეთის გენერლებს წავუკითხე (გადაიცა ჩვენი ტელევიზიით). 17 დღის შემდეგ მოსკოვში ტყვია დაუშინეს თეთრ სახლს, პარლამენტს. სამოქალაქო ომის ცეცხლში კინაღამ გაეხვია მთელი რუსეთი. რაღაცნაირად იგრძნობოდა ეს. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება მიმართვის ბოლო სტრიქონებს. აი, ეს მიმართვაც,

Вахтанг Гогуадзе

Одумайтесь, пока еще остается шанс

Играть в наивную политику нет смысла. Настало время назвать вещи своими настоящими именами. Сегодня, 16 сентября, было вероломно нарушено Сочинское соглашение. Я, спикер Парламента Грузии, дерзнувший подписать Сочинское соглашение о прекращении огня в Абхазии вместе с Андреем Владимировичем Козыревым, не слушая радикалов, утверждавших, что России нельзя доверять, все же не считаю себя не правым. Сегодняшние собития вывели все на чистую воду. Весь расклад действий ясен. Если все происходит без Вашего ведома, то считайте, что ваши дни сочтены. Если все происходит по Вашей воле, опять-таки ваши дни сочтены, ибо к коварству такого ранга в политике не прибегают. Что вам дает уход Шеварднадзе? Грузия без Шеварднадзе? Раздавленная, уничтоженная Грузия – вы этого сможете достичь, но надо же отдавать должное разуму. К чему приведет Россию такая политика? Это же неминуемая глобальная катастрофа для России. Весь мир отвернется от такой политики. К великому сожалению, Россию, по-видимому, ожидает апокалипсическая катастрофа. Я не раз писал о России, не раз воспевал ее культуру, однако сегодня я, к сожалению, вынужден признать, что в России сегодня нет места серьезной политике. Вас ожидает гораздо большая опасность, чем та, в которой находится сегодня Грузия. Пока еще остается хоть малейший шанс, одумайтесь.

P.S. მე ხშირად მივმართავ დოკუმენტურ დიალოგებს. არასოდეს დიალოგის მონაწილეს ჩემგან არ ელოდება რაიმე საჩოთირო კონტექსტი. არაერთგზის მითქვამს, ბატონი ედუარდ შევარდნაძე საიდუმლოებას ცოლშვილსაც არ ეტყვის. მას თავისი საიდუმლოებები თან დააქვს. არც ჩემთან ჰქონია რაიმე ნამუსის შესანახი საიდუმლოება.

კითხვა:

— არ გეშინიათ მომავლისა? თქვენ ხომ ღიად, საჯაროდ აცხადებდით, რომ ედუარდ შევარდნაძე უნდა ჩამოვიდესო საქართველოში, თქვენ ხომ მისი უახლოესი თანამებრძოლი იყავით. თუ ვერ დაგვიბრუნებთ აფხაზეთს, სამაჩაბლოს, თუ ვერ გამოვა ხალხი სილატაკის მარწუხებიდან, განა თქვენ პრეზიდენტთან ერთად არ წარსდგებით თქვენი წილი პასუხისმგებლობით მომავლის წინაშე?



— **ამ** ორი თვით წინ სვეტიცხოველში ეპისკოპოსების კურთხევა გახლდათ. პატრიარქი წირავდა. ტრადიციულად უწმიდესმა დიდი სანთელი გამომიგზავნა. ვდგევარ სანთლით ხელში. ზურგს უკან მესმის. ერთი ქალი ეუბნება მეორეს: — მაგან ორჯერ დიდი სანთელიც რომ დაიკავოს, არაფერი უშველის. მაგენმა დააქციეს ქვეყანა... მივუბრუნდი, მაცხოვრის ხატისკენ გავუშვირე ხელი და ჩურჩულით ვუთხარი:

— აი, იმან განმიკითხოს და დამსაჯოს, როგორც მეკუთვნოდეს!

— ასე იყოს, აბა მე არ ვარ შენი განმკითხველი, განგიკითხავს, განგიკითხავს!

ქალს გატანჯული სახე ჰქონდა, იგრძნობოდა, რომ მართლა მორწმუნე იყო. მთელი ორი საათი ვფიქრობდი ლოცვის თანამდევარი ფიქრით. ღმერთო, მაპატიე, ეს ქალი ხომ მართალია, რამდენი ცოდვა გვადევს კისერზე. განა შეიძლება ხელისუფლებაში, ძალაუფლებაში იყო და უცოდველი გეგონოს თავი?

ზიარების შემდეგ ტაძარში ის ქალი მოვიდა ჩემთან.

— მაპატიე, ზიარება უნდა მივიღო, აღსარება უნდა ვთქვა. მომიტევე, შენ რას გერჩი, მაგრამ რა ვქნა, მთელი ოჯახი შიმშილით ვიხოცებით. შენ რა შუაში ხარ.

— რას ამბობთ, ქალბატონო, თქვენ მართალი ხართ. პირიქით, თქვენ მომიტევეთ.

ეს სენტიმენტალური კოპწიობა არ არის. მინდა, ერთი უცნაური რამ გითხრათ. ბატონი ედუარდი საქართველოდან რომ წავიდა, მისი საგარეო საქმეთა მინისტრობის დროს არავითარი ურთიერთობა არ მქონია მასთან. მოსკოვში მასთან ვიყავი 1991 წლის 3 ნოემბერს. მე არ ვყოფილვარ მასთან საქართველოში მის მოსაპატიჟებლად. ამ მხრივ მასთან ეროვნული მოძრაობის ბევრი ლიდერი გახლდათ. მე ერთი დიდი ნაკლიც მაქვს. ვიცი ადამიანების გალმერთება. ეს მკრეხელობაა. კაცს ღმერთის იმედი უნდა ჰქონდეს და არა კაცისა. მაგრამ კაცში თუ რაღაც საწყისი ვიპოვე, ავიჩემებ, რომ ძალიან მაგარია, ძალიან კარგია... ედუარდ შევარდნაძე ხელწამოსაკრავი მოვლენა არ გახლავთ მსოფლიო პოლიტიკაში. მე საოცრად თაყვანსა ვცემდი მას და ვამაყობდი, რომ ქართველი კაცი, საქართველოს სახელს ღირსეულად ატარებდა დასავლეთის სამყაროში. არ დაგიმალავთ ჩემს გულუბრყვილობას. ვფიქრობდი, იგი დაიბრუნებდა კრემლში დიდ ადგილს დემოკრატიულად განახლებულ რუსეთში. ვფიქრობდი, იქიდან ძალმოცემული დაგვეხმარებოდა. აქ, საქართველოში მისი ფრთების გაშლის პერსპექტივა ჩემს ფანტაზიას არ ეგუებოდა. პირველი, რაც ვკითხე,

— უკრაინასა და რუსეთს შორის ხომ არ გამწვავდება ურთიერთობა?

— არა, თუ მიაქციე ყურადღება კიევში ბუშის გამოსვლას, მან თქვა: ჩვენთვის ძალიან ძნელი იქნება თხუთმეტ სახელმწიფოსთან ურთიერთობა, საჭირო იქნება ამ ქვეყნებს შორის შეიქმნას თანამედროვე, დემოკრატიული თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული კავშირი.

აქაური გადატრიალების შემდეგ (22 იანვარს) მე მას მივწერე წერილი. სამწუხაროდ, წერილი ხელნაწერი გახლდათ და ზეპირად გაგახსენებთ ერთ-ორ მომენტს. მე ვეხვეწებოდი, არასგზით არ შეიძლებოდა აქ მისი ჩამოსვლა. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც. აქ ახლა ქრისტე რომ ჩამოვიდეს, გოლგოთამდეც არ მიიყვანენ. თქვენ ისე გიყვართ საქართველო.. მეშინია, თქვენთვის ეს პოლიტიკური სვლა აქილევსის ქუსლი არ აღმოჩნდეს. მაგრამ რახან ჩამოვიდა, მეც, რა თქმა უნდა, დავუდექი გვერდით, ვით ჯარისკაცი. 7 მარტს ჩამოვიდა. 9 მარტს კრწანისში დამიბარა. 12 მარტს მე ვიყავი პირველი პირი, რომელიც მისი ბრძანებით დავინიშნე სახელმწიფო საბჭოს მდივნად. ვიმეორებ, მასთან მუშაობას თავისი ღირსებები აქვს. იგი არ იყო ურთიერთობაში წვრილმანი. იგი პოლიტიკაში დიდი კაცია. მაგრამ საქართველოსთვის შეიძლება ისეც აღმოჩნდეს, ვით კატონმა თქვა კეისრის შესახებ: „Пусть прокляты его доблести, ибо они погубили мое отечество".

დიდი კაცი ან აშენებს ან დააქცევს ქვეყანას. პატარა კაცს პატარას აშენება, პატარას დანგრევა შეუძლია. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, ცხადია, მე მას არ გავურბივარ. მე, პატარა პოლიტიკოსი, ვერ ვიზიარებდი მის, დიდი პოლიტიკოსის კურსს. არაერთგზის ვაცხადებდი ჩემს ინტერვიუებში — საქართველო დინოზავრების ბრძოლის ველად არ უნდა იქცეს. აქ დიდი სახელმწიფოების ინტერესები არ უნდა დაეჯახოს ერთმანეთს. ჩვენ არ უნდა ვეჭიდაოთ რუსეთს. მიუხედავად უაღრესად აკურატული ურთიერთობისა, სწორედ პოლიტიკური პასუხისმგებლობის შიშით, ჯერ კიდევ ოთხი თვის სპიკერი გახლდით, როცა პარლამენტს ჩემი გათავისუფლება ვთხოვე, მეორეჯერაც განვაცხადე, მესამეჯერ გამოვიქეცი. მიზეზი რომ ჩემი ნერვების მოშლა არ ყოფილა, ეს, ყველამ იცის. ჩემი ხვეწნა-მუდარა ასეთი იყო: რუსეთს ნუ შევალეწავთ ამ საცოდავ საქართველოს. პრესაში რას არ მიწოდებდნენ გულადი კალმოსნები. ჩემი ოცნება ის იყო, ჩემი ქვეყანა არ მენახა დაბეჩავებული და გატეხილი. ბევრს ახსოვს ჩემი უსიამოვნო ფრაზა: ჩემმა ქვეყანამ რომ არ დაიჩოქოს, მე მზად ვარ მისთვის დავიჩოქო. რაც დაგვემართა, ჩვენი აზროვნების ადექვატია. რა მოგვივა, რა დაგვემართება, ასეთ კითხვებს რომ უპასუხოს პოლიტიკოსმა, ერის თანამედროვე ტვინში უნდა ჩაიხედოს. თუ იქ ყველაფერი წესრიგში არ არის, დაგვემართება, რაც დაგვემართა თავს დავაბრალოთ. ვისაც არ ესმის, დღეს საქართველოს ყოფნა-არყოფნის ჟამი, მას პასუხისმგებლობა არა აქვს ღვთისა და ერის წინაშე. თუ ბატონმა პრეზიდენტმა რადიკალურად არ გადასინჯა თავისი კურსი, საქართველოც დაიღუპება და თვითონაც. მე ერთიც მენანება და მეორეც. „ნურავინ აცდუნებთ თავს. თუ ვინმეს წუთისოფელში თავისი თავი ბრძნად წარმოუდგენია, გაუგუნურდეს, რათა ბრძენი გახდეს". (ბ.კორინთელთა, 3,18) ასე რომ, სიბრძნის პრივატიზაცია არ ხდება.

გაგრძელება ორშაბათის ნომერში



თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ახალგაზრდა ლექტორი ვახტანგ გოგუაძე კითხულობს საჩვენებელ ლექციას, რომელსაც უსმენს ცენტრალური კომიტეტის მდივანი ედუარდ შევარდნაძე.

ვინ იყო ვინ?

29 საჭირბოროტო შეკითხვა და თენგიზ კიტოვანის პასუხები

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო“ №19,20,21,22,23,24.

„ზვიადისტის“ შეკითხვა

— ბატონო თენგიზ, თქვენ დასაჰერი 13 იანვრის მოვლენების გამო კი არა, 1991—92 წლების გადატრიალების გამო იყავით, პირდაპირ გეტყვით, დასახვრეტიც. თუ თქვენი გვარდიით ხალხს იცავდით და თუ 2 სექტემბრის დარბევა მოხდა ხელისუფლების მიერ (რაც სინამდვილეში გ.ჭანტურიას მიერ მოწყობილი პროვოკაცია იყო), განა 1992 წლის იანვრის შემდეგ თქვენ არ იყავით ხელისუფლება და უკვე ხელისუფლების სახელით არ არბევდით მიტინგებს? თუ იმ მიტინგებზე ხალხის ნაცვლად ცხვრები ვიდექით? გააკეთებთ თუ არა იგივეს (ვგულისხმობ გადატრიალებას), რაც ჩაიდინეთ, ცხოვრება რომ თავიდან დაგეწყებინათ?

„შევარდნაძისტის“ შეკითხვა

— ბევრს საუბრობთ თქვენი დაპატიმრების წვრილმანებში, ვითომ დაშვებული შეცდომების შესახებ, ამასვე ამბობენ თქვენი დამცველები. ჩემი წასვლის შესახებ ყველამ ყველაფერი იცოდაო და ა.შ. გეკითხებით, თქვენ რომ სახელმწიფოს პირველი პირი იყოთ, დაუშვებდით თუ არა იმას, რომ თქვენს გარეშე ჯარი წაეყვანა ვინმეს, ეს აქტი არ შეეთანხმებინა ოფიციალურად ხელისუფლებასთან. ასე რომ, ვისაც მოეპრიანება, იმას შეუძლია წამოიწყოს უდიდეს სისხლისღვრა?

„არავისტის“ შეკითხვა

— თქვენი პირადი ნაცნობები უბოროტო, კეთილ და ვაჟკაც კაცად გთვლიან. ცხადია გაქვთ ნიჭი იმისა, რომ გარკვეული წრე შემოიკრიბოთ და აიყოლიოთ. აკი ასეც მოხდა. ჩვენ ისიც გვჯერა, რომ არც თქვენ და არც სიგუა კრემლის დავალებას არ ასრულებდით, მაგრამ განა ის სცენარი, რომელშიც ორი მხარე იყო, ზ.გამსახურდიის მხარე თავისი აგენტურითა და ბნელი ორატორებით და თქვენი, ანუ „მრგვალი მაგიდის“ ორი ფრთა, იქნებ თქვენთვის გაუცნობიერებლად, მტრის წისქვილზე არ ასხამდით წყალს?

ამის საპასუხოდ გაიხსენეთ და თუ შეგიძლიათ ისიც გვითხარით, ვინ ისხდნენ იმ „ბეტეერებში“, რომლებიც მთავრობის სახლში შეიჭრნენ, რუსები?

თენგიზ კიტოვანი: ... არ ვნანობ!

პასუხი „ზვიადისტს“

— ზვიადისტებს, როგორც ყოველთვის, აკლიათ რეალობა ან იქიდან გამომდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის უნარი, რაც დღეს მიმდინარეობს. ზვიადისტებმა ბევრმა არ იცის, თუ რატომ მივედით დეკემბერ-იანვრის მოვლენებამდე, რამ განაპირობა ერის გახლეჩვა მაშინ ან ის პოლიტიკური ძალები წინ რომ აღუდგნენ ზვიადის პოლიტიკას. რატომ მოხდა 2 სექტემბერი, მოსკოვის პუტჩის შედეგად რატომ დადგა გვარდია ცალკე. რატომ ანადგურებდნენ გვარდიას. ვინც ეს არ იცის, რასაკვირველია, ყველაფრის წარმოდგენა შეიძლება და განაწყენებული, რეალობას მოკლებული საყვედურები ან გაბოროტებული მწარე საყვედურები, მე გთხოვთ არ დამაწერინოთ ის, რაც თქვენ არ იცით და მერე ვერავინ ვერ იტყვით საყვედურს ვერც დეკემბერ-იანვრის მოვლენებზე და ვერც ზვიადის საქართველოდან წასვლაზე, თუ რამ განაპირობა ეს ყველაფერი. ვიმეორებ, ვთხოვ ყველას ნუ დამაწყებინებენ იმ პოლიტიკის ლანძღვას, რა პოლიტიკაც მიყავდა მაშინდელი აგენტებით ალყაშემორტყმულ ზვიადს, ნუ ივიწყებთ ხალხო, რომ ერი ორად იყო გახლეჩილი, რაც შეეხება ორ სექტემბერს, ეს იყო ხელისუფლების მიერ დარბეული მიტინგი და რატომ გიკვირთ, რომ მერეც არბევდნენ მიტინგებს და დღეს საერთოდ მიტინგებზე ლაპარაკი ზედმეტია, ან რამდენი მიტინგი ჩაატარეთ ზვიადისტებო შევარდნაძის ხელში ან სასამართლო პროცესები რომ მიმდინარეობს და დაჩვრეტებს და 13 წელზე ნაკლებს არ აძლევენ „ზვიადისტობაზე“, ახლა რატომ ხართ გაჩუმებულები, შიშის სინდრომი რომ გაქვთ გაჩენილი, კუთხეებიდან კნავილი ყველას შეუძლია და სხვისი ლანძღვა ჩურჩულით. მე ვიძახი, რაც მე ჩავიდინე. ეს იყო გასაკეთებელი და არ ვნანობ, რომ მე მაშინ სწორი გზა ავირჩიე. ზოგიერთ თქვენსავით მე შევარდნაძის მხარეს არ გადავმხტარვარ და არ დავხმარებივარ შევარდნაძეს ზვიადის მოკვლაში. როცა შეკითხვას იძლევით, უნდა განსაზღვროთ, ვინ რა გააკეთა ერისთვის და არა ცალმხრივად შეაფასოთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. მე ვთხოვ ყველა „ზვიადისტს“, ახლა მაინც შეხედონ რეალურად მიმდინარე პროცესებს და იქიდან გამომდინარე გაანალიზონ დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია, თუ დღეს ერი არ გამთლიანდა ჩვენ უარესი გველის იმ კაპიტულანტური პოლიტიკის გამო, შევარდნაძემ და მისმა ჯგუფმა თავს რომ მოახვია საქართველოს.

პასუხი „შევარდნაძისტს“

— შევარდნაძისტის შეკითხვაზე ესე გავცემდი პასუხს, რომ საერთოდ შევარდნაძისტებს და მის მექრთამე ამალას, ამ გუბერნატორებს და საერთოდ მის დანიშნულ ხალხს რა ხმა აქვთ ამოსაღები. მე ასე ვიტყოდი, რომ შევარდნაძემ შეცვალა „მხედრიონი“ თავის წურბელებით, რომელიც მიუსია ყველა მეწარმეს, ყველა მაღაზიის გამყიდველს და არ არსებობს სფერო წარმოებისა, რომ შევარდნაძისტები წილში არ იჯდნენ, დაწყებული გუბერნატორებიდან, დამთავრებული ზოგიერთი პარლამენტის წევრიდან. რაც შეეხება ჩემს წასვლას 13 იანვარს, მე მინდა გაგცეთ პასუხი, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ იყო დამტკიცებული ჩემი წესდება. მე ვიყავი იურიდიული პირი, რისი უფლებაც მქონდა ჩემი წესდების მიხედვით მემოქმედა ის. რაც შეეხება შევარდნაძემ იცოდა თუ არ იცოდა, შევარდნაძე არ არის საქართველო და მისი ინტერესები არის ანტიქართული, რაც შეეხება ჩემს წასვლას 13 იანვარს, თქვენ კარგად უნდა იცოდეთ, რომ ჟენევის კონვენციის პაკეტით ქართველ ხალხს უფლება აქვს შევიდეს თავის დაკარგულ ტერიტორიაზე ყველა იარაღით, ქვით, წერაქვით, ყველა საშუალებით, მე მგონი ჟენევის კონვენციის პაკეტი უფრო მაღლა დგას, ვიდრე შევარდნაძის ჩასვრილი პოლიტიკა ჯერ აფხაზეთში, სამაჩაბლოსა და საჯავახოში. რაც შეეხება ჩემს და სურგულაძის პატიმრობას, უცხოეთმა მრავალჯერ აღნიშნა შევარდნაძის მიერ ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა და ძალადობა. მოვა დრო და შევარდნაძე აღმოჩნდება ამ დღეში, როგორც საქართველოს მიწების გამყიდველი და ექსპერიმენტების ჩამტარებელი, კომუნისტების სულისკვეთებით აღზრდილი მკვლელი „დემოკრატი“.

პასუხი „არავისტს“

— „არავისტების“ შეკითხვა უფრო ჰგავს შენიღბული ზვიადისტის შეკითხვას, მე მინდა გითხრათ, რომ მთავრობის სასახლეში შევარდა გია გულუა, მერე მე რომ შევხვდი გიას, მას კარგა ხანი არაფერი ესმოდა, ისე იყო გაბრუებული, იმდენი ყუმბარა ჰქონდა მოხვედრილი მის ბტრ-ს. ამის მოწმე მთელი გვარდიაა და საერთოდ ერთი მითხარით, ვინ ნახა ჩვენს გვერდზე მებრძოლი რუსი. მე აქ არავინ მინახია. თუ ვინმემ იცით, მითხარით. რუსები ერთხელ ვნახე ზღვაზე ამოსულნი, თავის დაკარგულ მანქანებს ეძებდნენ, ასე რომ, ესეც პროვოკაციაა, ვინც ფიქრობს, რომ რუსები მონაწილეობას ღებულობდნენ დეკემბერ-იანვრის მოვლენებში. ან მაშინ, კარგად მოგეხსენებათ, ორად გაყოფილმა ერმა დააყარა ერთმანეთს. გვარდიის რიგები ყოველდღე ივსებოდა თბილისის მოქალაქეებით. თბილისელებმა არ მისცეს საშუალება ზვიად გამსახურდიას გამოეყენებინა რაიმე სხვა ძალა, თბილისის ომში მოიგეს თბილისელებმა, აქ არაფერია გასაკვირველი. თბილისის ომში დაგვეღუპა საუცხოო ახალგაზრდები: გელა გიორგაძე, თორნიკე შიუკაშვილი. კახა გველესიანმა კარგად მოგეხსენებათ, რა ტრავმაც მიიღო და ბევრმა. როგორ, არცერთ რუსს ტყვია არ მოხვდა? ძალიან მაინტერესებს.

ანონსის მაგივრ

პოსტკომუნისტურ «იდეოლოგიურ» მცდელობათა გამო

ნოდარ ნათაძე

ის განუზომელი გონებრივი უპირატესობა, რაც ქართველ განათლებულ ფენას ანუ ინტელიგენციას კომუნისტების წინაშე ყოველთვის ჰქონდა, აქვს და ექნება, მრავალწლიანი ინტერვალის შემდეგ კვლავ ამეტყველდა. რატომ ინტერვალის? იმიტომ, რომ იმ ჰორიზონტდახშულმა, ულმობელმა და ქართული ნაციონალიზმის ფანატიკური სიძულვილით გაჟღენთილმა არსებებმა, რომელთაც „ქართველი კომუნისტები" ერქვათ, თავისი ევოლუციის პროცესში მოწინააღმდეგის ეს უპირატესობა ტყავით იგრძნეს და მისი მიჩქმალვა სცადეს. ჯერ ბერიას ხელში, რომელსაც კლასიკურ კაციჭამიურ მახასიათებლებთან ერთად, ზოგ-ზოგისაგან განსხვავებით, სახელმწიფო მშენებლობის უნარიც ჰარბად ჰქონდა, მათ თავისი ანტიეროვნული ფანატიზმის დამალვა მოუხდათ. შემდგომ მათ გაიგეს (რა თქმა უნდა, ყურმოკვრით), მარქსიზმის დოგმებს თურმე მეცნიერება და ტექნიკა სჯობიაო, გაიგეს (პრაქტიკით), ლენინისთავიან ასმანეთიანებს მშვენე დოლარები სჯობიაო, საბჭოური „ქარტუზების" მაგიერ „შლაპები" დაიხურეს, კიტელების ნაცვლად ერთბორტიანი ან ორბორტიანი კოსტუმები ჩაიცვეს და თავისი დინგები და ეშვები ჰალსტუხებით და „შლაპებით" შენიღბეს. რაკი გემო ერთხელ გაუგეს ცივილიზაციის მონაპოვრებს, ველარ მოეშვნენ და თავისი სისხლიანი გადატრიალებაც 1991—92 წლების საქართველოში „ინტელიგენტობის", „ინთელიგენტურობის", „წსოფლიო პოლიტიკის კურსში ყოფნის" „არაპროვინციელობისა" და „არაფაშიზმის" ნიღბით ჩაატარეს. რატომ ამეტყველდა დღეს ის უპირატესობა ანუ რატომ გახდა იგი კვლავ აქტუალური? იმიტომ, რომ ხუთი წლის განუყოფელი და უნაყოფო დიქტატურის შემდეგ — რაკი განადგურებულმა ქვეყანამ ჭაობის სიმშვიდეს მაინც მიაღწია — ბუნებრივად დადგა რეჟიმის სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის განსაზღვრის საკითხი და წამსვე აღმოჩნდა, რომ კომუნისტურ ხუნტას არც გონებრივი რესურსი ჰყოფნის, არც მუხტი, და არც ობიექტური პირობები უწყობს ხელს, რომ თავის მოქმედებას ოდნავ მაინც დამაჯერებელი და სერიოზული გამართლება გამოუძებნოს. იდეოლოგია არის სისტემა შეხედულებებისა იმაზე, თუ ვინა ხართ, რა ხართ, რისთვის ხართ, რა გინდათ და რით არის გამართლებული თქვენი არსებობა ამ ქვეყნად. იდეოლოგია ყველას აქვს, აქვს — ყველა პიროვნებას, რომელიც კი ე.წ. „მე-ს კონცეფციის" შემუშავებამდე მისულა (და ამიტომაცაა იგი პიროვნება, და არა „ეგზემპლარი" ან „ცალარსი"), ყველა კოლექტივს, რომელსაც კი თავისთავი ულირს, ყველა წამოწყებას (მით უმეტეს — სახელმწიფოებრივს) და, საერთოდ, ყველა საქმეს, რომელიც კი შეგნებით და წინასწარდასახული მიზნით კეთდება. დღევანდელი წითელი ხუნტის იდეოლოგია, როგორც უკვე არაერთხელ ითქვა და დაიწერა პრესაში, ერთადერთი ფრაზისაგან შედგება: „ქართველები უვარგისნი ვართ, ზარმაცები, ქურდ-ბაცაცები, უპასუხისმგებლონი, ჩვენს თავს ჩვენ ვერ ვუვლით და ამიტომ, მოდით, ისევ რუსეთს ფეხქვეშ გავეგოთო". მაგრამ მხოლოდ ნეგატიური დებულებებისგან შემდგარი იდეოლოგია იდეოლოგია არ არის, მით უმეტეს, მა'მინ, როცა მასში სწორედ ეროვნულ სახელმწიფოებრიობის შენების ზემოხსენებული ზოგადი კონცეფცია იგულისხმება. ასეთი კონცეფცია სახელმწიფოს სჭირდება და სწორედ აქაა, რომ დემოკრატიად და დამოუკიდებელი საქართველოს დამცველად შენიღბულ კომუნისტურ ხუნტას შემოქმედების უნარი ღალატობს, მისი მორალური გაკოტრებისა და ფსიქოლოგიური გამოფიტვის გამო.

იდეოლოგიას მხოლოდ ლოგიკა და ფაქტებთან სისწორე კი არ მოეთხოვება, არამედ ამასთან ერთად ე.წ. ადამიანური სიმართლეც, ანუ საკმარისი სიღრმე, **საკმარისად** მნიშვნელოვანი მიზანთსახვა და მორალური მუხტი, რათა ადამიანთა აყოლიება შეძლოს. ცხადია, რომ პარტმუშაკებისგან და ნორჩი „მონკავშირლებისგან" შემდგარი ხელისუფლება ამ ამოცანას ვერ გასწვდება. პრაქტიკა, რომელიც საქართველოში „ოსეთის" შექმნას ლამობს და საკუთარ ქვეყანას უცხო ქვეყანათა „თანამეგობრობაში" ითრევს, ქართული სახელმწიფოებრიობის თეორიას ვერ წარმოშობს. მას წარმოშობს მხოლოდ სხვა პრაქტიკა — ის, რომელიც ამბობს: „დიახ, სხვა ერთა შორის ჩვენც ერი ვართ. ამას ჩემი თავმოყვარეობა მთხოვს და სამართლიანობის შეგნება მავალებს"; ან „დიახ, სხვა ერთა შორის ჩვენ რაღაცით გამორჩეული ერი ვართ, დიდი ისტორიის შემქმნელი და დიდი მომავლის მქონე!"; ან „დიახ, საქართველო ქართველების ქვეყანაა, რომელშიც აბსოლუტური პიროვნული თანასწორობის პირობებში ცხოვრობენ ქართველნი და არაქართველნი, და არა აქციონერული საზოგადოება, რომელიც ამა და ამ ტერიტორიას ფლობს და „ამადამ დივიდენდებს იღებს"; ან: „დიახ, ყველას, ვინც ქართველი მოსახლეობისგან საქართველოს მიწის „წმენდა" ჩაატარა, სასამართლოში მივიყვანთ და დავსჯით". ან „დიახ, მეცნიერულად გისაბუთებთ, რომ ჩვენი ქვეყნისათვის! თავისუფლება არა მხოლოდ ღირსების პირობაა, არამედ სიმაძღრისაც". და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ეს ის მსოფლმხედველობრივი ფუძედებულებებია და ის პრინციპებია, რომლითაც **რეალურად ერი ცხოვრობს** და, ამ მხრივ, მათ შექმნა არ სჭირდება, მათ სჭირდება მხოლოდ ანალიტიკური დასახსვრა, და თანამედროვე მეცნიერული ენით დაფორმულება.

თვითონ რომ საკუთარი თავის გამმართლებელ სისტემას ვერ შექმნიან, ეს წითელ-მწვანეებმა იციან, საძულველ მტერს (ქართულ ეროვნულობას) რომ იგი **აქვს**, ამასაც ხედავენ. ამ ჩიხიდან, ორადორი გამოსავალი არსებობს. ერთი წმინდად დესტრუქციულია: ესაა სირაქლემის სტრატეგიაზე აგებული განცხადება „რაღა დროს იდეოლოგიაა, არ გვინდა საერთოდ იდეოლოგია", მეორეა საკუთარი ყალბი და უსუსური მოქმედებისთვის ასეთივე ყალბი და უსუსური იდეოლოგიის შეთითხნის მცდელობა. პირველი სავსებით თანმიმდევრულად — ანუ ქართული სახელმწიფოებრიობის სამიტირების ზოგადი პოლიტიკური კურსის შესაბამისად, აირჩია პრეზიდენტმა შევარდნაძემ, როცა, თურმე თქვა, იდეოლოგია არ გვინდა, საკმარისია, კონსტიტუციით თუ ვიცხოვრებთო (გაზ. „მთაწმინდა" №1) (თავისი თეორიული ღირებულებით ეს აფორიზმი დაახლოებით ტოლფასია დებულებისა „რად გვინდა მორალი, როცა გვაქვს კანონიო"). მეორე გზას მიჰმართეს ბატონებმა ჯავახიშვილმა, ნადირაძემ, ლოლაძემ, ელოშვილმა, მიმინოშვილმა, მირიანაშვილმა, ონიანმა, ცაავამ („მთაწმინდის" რედკოლეგიამ), რომელიც პრეზიდენტს აკრიტიკებს ამ დებულებისთვის და თუ იმედს ვერა, შეფარულ სურვილს მაინც გამოთქვამს (რატომ გალაქტიკები არ გაიცინებენ!), ეგებ ჩვენი სახელოვანი პრაქტიკის ფარდი იდეოლოგია ჩვენ შევქმნათო.

ეს გმირული განზრახვა, ჩემის აზრით, არც მხოლოდ მკრეხელურია (რამდენადაც იგი „ეროვნულ-დამანგრეველი მოძრაობის" უწმაწური გინების ფონზე გამოითქმის) და არც მხოლოდ სასაცილო. იგი საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის **სახიფათოცაა** იმ მხრივ, რომ შეიძლება ილუზია შეუქმნას, თითქოს ქართული სახელმწიფოებრიობის გააზრება მართლაც იმ ადამიანთა ამარა დარჩენილა, რომლებიც ვახსენეთ, და სასოწარკვეთის იმ უფსკრულში გადაჩეხოს, რომელშიც მას დიდი გულმოდგინებით უბიძგებს დღევანდელი მსოფლიოს, ალბათ, ყველაზე უღიმღამო ტელევიზია. ჩემი მიზანია, სასოწარკვეთის იმ კანდიდატს, შეძლებისდაგვარად, ერთი სანუგეშო სიტყვა მივაწვდინო.

ე.წ. ეროვნულ ძალებს, ანუ იმ ადამიანებს, ვისაც მიზნად და სურვილად საქართველოს თავისუფალი, საზღვრებდაცული და სამართლიანი სახელმწიფოს შექმნა აქვთ, იდეოლოგია მართლაც გააჩნიათ (რომ არ გააჩნდეთ, ეროვნული შეგნებით ნაკარნახევი არც ერთი თავდადებული ნაბიჯის მომსწრენი არ ვიქნებოდით. მაგრამ ყველამ იცის, რომ ვართ). იგი სწორედ ამ მიზნის ქონაში მდგომარეობს და იგი სამ ძირითად თემას მოიცავს.

პირველი: არის თუ არ არის ეროვნული თავისუფლება და ერის მიერ თავისი ვინაობის, თავისი ეროვნული სახის და თავისი მიწა-წყლის სამარადისოდ დაცვის გარანტია იმის აუცილებელი პირობა, რომ კაცის სიცოცხლე ღირდეს და რომ მან თავისი თავი ადამიანად ჩათვალოს? ეროვნული ძალები ამბობენ: „დიაღ, არის", და მათი იდეოლოგია სწორედ ამით განსხვავდება პოლიტბიუროელთა წითელთა და ნაწილართა სულისკვეთებისაგან.

ეს ამ კონცეფციის ზოგადი ნაწილი გახლავთ.

მეორე: არის ქართველი ერი ერთ-ერთი გამორჩეული და მსოფლიოს ერთა სისტემაში თავისი საკუთარი ინდივიდუალური ფუნქციის მატარებელი ერი თუ, იქნებ, იგი ერთ-ერთი უღიმღამ გროვაა ადამიანებისა სხვა მრავალ ანალოგიურ გროვათა შორის, რომლის არსებობით არც დიდი რამე აკლდება მსოფლიოს და არც ემატება? ქართველ ერს — მიუხედავად დღევანდელი დამცირებისა — მაინც მტკიცედ მიაჩნია, რომ არის, და ამითაც იგი ძირეულად განირჩევა ეროვნული სახელმწიფოს ჭერქვეშ თავშეფარებული ანტინაციონალისტებისაგან, რომლებიც დღეს მას ყველა საშუალებით ამის საწინააღმდეგოს უქადაგებენ. ეს ამ კონცეფციის კერძო ნაწილია, რომელიც, თქმულთან ერთად, მოიცავს იმის კონკრეტულ გეოსტრატეგიულ, გეოპოლიტიკურ და გეოკულტურულ ჭვრეტასაც, თუ რა ადგილი გვეკუთვნის ჩვენ კონკურენციაგამძაფრებული დედამიწის სისტემაში დღეს ან მაზეგ.

და მესამე: (კონცეფციის, ასე ვთქვათ, იურიდიულ-პოლიტიკურ-ეკონომიკური ნაწილი): როგორია საქართველოს ეროვნული ამოცანების გადაჭრის, მსოფლიოში ქართველი ერის ახალი თვითდამკვიდრების კონკრეტული გზა და მისი ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის კონკრეტული ფორმა და ალგორიტმი? ბუნებრივია, რომ ამ ყველაზე რთული კითხვისთვისაც საქართველოს მმართველ კომპრადორულ გუნდს პასუხი არ აქვს და ვერ ექნება (არა მხოლოდ კეთილი ნების არქონის, არამედ, ვიმეორებთ, მისი ინტელექტუალური რესურსების სიმწირის გამოც). მისი პასუხი (ალტერნატიული ვარიანტების ჩათვლით მთელ რიგ მნიშვნელოვან კარდინალურ საკითხებში) მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაშია საძებარი, ვინაიდან ქართველი ერის გონებრივი პოტენციალი მხოლოდდამხოლოდ ამ მოძრაობის რეზერვია.

გაზეთი „საქართველო" უახლოეს ხანებში წარმოუდგენს მკითხველს საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის კონცეფციას.

გთხოვთ დაკვირვებით მოეკიდოთ მას, ფხიზელი თვალით შეაფასოთ და პირუთვნელად გამოთქვათ თქვენი დამოკიდებულება მისდამი!

ფრანგული პრესიდან

სამი კვირა რუსთაველის ქვეყანაში

ამ სტატიის ავტორი გასლავთ საქართველოში საფრანგეთის ელჩის მ-ნ მერნარ ფასიეს ვაჟი.

სასიამოვნოა, რომ მცირემის გარემოცვაში საქართველო მეგობრებსაც იძენს და ეს განსაკუთრებით ფრანგ სალსზე და საფრანგეთიდან ჩვენს ქვეყანაში ჩამომრჩანემულ ფრანგ მოქალაქეებზე ითქმის.

მადლობის გრძნობით წაგიკითხეთ ახალგაზრდა კაცის ეს წერილი და გადავწყვიტეთ ჩვენს მკითხველებსაც შევთავაზოთ იგი.



მე მსურს გაგანდოთ, თუ რას წარმოადგენს ჩემთვის საქართველო და რა მსურს წარმოვუჩინო ფრანგებს, რომელთანაც მომიხდება საუბარი ამ ქვეყნის შესახებ.

ჩემი ცოდნა საქართველოზე ერთობ მწირია. მე მხოლოდ სამი კვირა გავატარე აქ, თავდაპირველად თბილისში, შემდეგ ქუთაისში, ბათუმში და ბოლოს საქართველოს მთიანეთში.

რას ვეტყვი ჩემს მეგობრებს საქართველოს შესახებ?

პირველი შთაბეჭდილება, ჩემთვის ყველაზე მეტად ღირებული, არის ის გასაოცარი სითბო, რომელსაც ადამიანები იჩენენ ერთმანეთის მიმართ. ამით იმის თქმა არ მსურს, რომ ყველა თანხმობით ცხოვრობს ქალაქსა თუ სოფელში და არც იმისა, რომ საავტომობილო მოძრაობა მოწესრიგებულია და მშვიდია...

მე იმ ვაუკაცურ სიყვარულზე გელაპარაკებით, რომელიც ორი მამაკაცის შეხვედრაში მჟღავნდება, როდესაც ქუჩაში ისინი ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ და გადაკოცნიან. ეს ალერსი ქალების ურთიერთობაშიც მჟღავნდება და იმ ლაღ მიხვრა-მოხვრაში, აუჩქარებელ რიტმში, რომლითაც თბილისელები რუსთაველის პროსპექტზე დასეირნობენ.

ეს კაცთმოყვარეობის დიდი გაკვეთილია, რაც სამუდამოდ ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში. როდესაც პარიზში მძღოლები გაიფიცნენ და ფეხით მოსიარულე პარიზელები ერთმანეთისადმი უფრო თავაზიანნი გახდნენ, მე თბილისი გამახსენდა.

ჩემს მეგობრებს ქართული სუფრის ხიბლს გავუზიარებ. რამდენი მოსწრებული ხუმრობა, რამდენი ბრძნული აზრი, რამდენი „პიკანტური" წვრილმანი... ჩემი პირველი ხაჭაპური, მეფური სადილი ჩემს კოლეგასთან, სამი სუფრა ერთ დღეში... ზღაპრული სიუხვე ქართული კერძებისა და... პოლონური ლუდი. ამ სამი კვირის მანძილზე, ვგონებ, თამადობის ზოგ საიდუმლოებასაც დავეუფლე და ახლა, ამ ახალ ხელოვნებას ფრანგულ სუფრაზეც წარმატებით ვიყენებ.

ახლა, როცა ქართულ კერძებზე ვფიქრობ, პირველ რიგში იმერული ხაჭაპური მახსენდება. აი, ღვინოს რაც შეეხება, აქ, უცილობლად, კახეთი პირველობს. რა სუფრა, რა

გაგრძელება მე-8 გვ.

აბიტურიენტებისა და მე-11 კლასელთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავით კლდიაშვილის „სოლომან მორბელაძე“

(განხილვა)

ნოდარ გრიგალაშვილი

ბედნიერება-უბედურებას შორის არჩევანის უფლებაწართმეული ადამიანი

სოლომან მორბელაძე, დავით კლდიაშვილის სხვა გმირების მსგავსად, ტრაგიკული კაცია. არადა, ნაწარმოების სიუჟეტი რომ სქემატურად გადმოსცეს ჯაცმა, გიგაცინებთ, რა ტრაგიკული ამბავი აქ არის მოთხრობილიო — იფიქრებთ.

როგორც წესი, ტრაგედიის კლასიკურ სიუჟეტში ხომ, დიდი, ამაღლებული ვნებები ბობოქრობს და მთავარი გმირები ან თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს, ან თვალების დათხრით ან სხვა უღებს მათ ბოლოს. ვინც ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს კლასიკურ სიუჟეტებზე აგებულ ტრაგედიებს წაიკითხავს, სწორედაც ეჯერ გაურნდება, ოიდიპოსს, ორესტეს, ელექტრას ტრაგედიასთან ამ ჩვენი სოლომანის უბედურება რა მოსატანიაო. ან რაღა შორს წავიდეთ, გაიხსენეთ, რა ამაღლებული განცდები იქცა ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაურის ტრაგედიის საფუძვლად.

მაინც როგორ პერსონაჟს შეიძლება ვუწოდოთ ტრაგიკული და როგორ სიუჟეტს ტრაგედია? განა შეიძლება ყველა გმირს, რომელსაც ფათერაკი და, გნებავთ, უბედურება გადახდება თავს, ტრაგიკული პერსონაჟი დავარქვათ? ცხადია, არ შეიძლება.

უბედურსა და ტრაგიკულ პერსონაჟს შორის განსხვავება ის არის, რომ, თუ პირველს უბედურება შეიძლებოდა თავიდანაც აეცილებინა, ან თუ პირველს შემთხვეევით დაატყდა თავს ფარსაგი ამბავი, მეორე, თუ შეიძლება ასე ითქვას, კანონზომიერადაა გაწერილი. ანუ მეორეს, არჩევანის უფლება ბედნიერება-უბედურებას შორის არ გააჩნია.

უფრო კონკრეტულად, ვთქვათ, დათიკო (ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობიდან“) უბედური კაცია და არა ტრაგიკული. ვინაიდან, რომ გამოეჩინა ელემენტარული კეთილგონიერება და ცხოველურ ეინს აყოლილს ფეხქვეშ არ გაეთელა სხვათა ღირება, სიცოცხლეს ძუძუმტის ტყვეთ არ დაასრულებდა.

ტრაგიკულ პერსონაჟს კი, როგორც ვთქვით, არჩევანის უფლება არ გააჩნია. ოიდიპოს მეფე წერაქწერლის მიერ წინასწარ განსაზღვრული განაჩენით, უნებლიედ მამის მკვლელი და დედის სარეცელის მოზიარე აღმოჩნდება. ამ ამბის შეტყობის შემდეგ თებელია მეფეს ბედნიერება-უბედურებას შორის არჩევანის უფლება აღარ რჩება. არჩევანი მხოლოდ ორ უბედურებას შორის აქვს, თავლაფდასხმულ, უბედურ სიცოცხლესა და სიკვდილს შორის და იგი თვალებს ითხრის, რათა დაიბნელოს მისთვის დედინაცვლად ქცეული სამზეო.

არც ალუდა ქეთელაურს აქვს დატოვებული არჩევანის უფლება — თუ თემს დაემორჩილება, საკუთარ თავს ზნეობრივ აუტოდაფეს მოუწყობს, ხოლო თუ უერთგულებს სინდისის ხმას, თემისაგან იქნება მოკვეთილი და ოჯახიანად სოფლიდან ოტებული. ალუდას არჩევანიც ორ უბედურებას შორისაა გახიდული — ან ზნეობრივი სიკვდილი, ან ფიზიკური და იგი ამ უკანასკნელს ირჩევს:

„ერთი მაისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა“...

სოლომან მორბელაძეც ტრაგიკული გმირია. კლდიაშვილის პერსონაჟებსაც არ გააჩნიათ არჩევანის უფლება ბედნიერება-უბედურებას შორის, მაგრამ ამ თვალსაზრისითაც დავითის სამყაროში ყველაფერი თავდაყირა დგას, არსით ყველაფერი ისეა, როგორც კლასიკურ ტრაგედიებში: ცხოვრების გზაჯვარედინზე დგას ადამიანი და არ აქვს გზის არჩევის უფლება, ვინაიდან ყველა გზა უბედურებისკენ მიდის, უფრო სწორად, ერთადერთი უფლება აქვს შერჩენილი, რომელი აირჩიოს ფიზიკურსა და ზნეობრივ სიკვდილს შორის.

ვიმეორებ, არსით ასეთივე რამ ხდება კლდიაშვილის სინამდვილეშიც. აქ გმირებს გამოსავალი ვერ უპოვნიათ, ან შიმშილით დაცემა ან ზნეობრივი წახდომაა მათი ხვედრი, რათა პირველს ასცდნენ.

მაგრამ კლდიაშვილის პერსონაჟების ტრაგედია თუ არსით — არჩევანის არარსებობა ბედნიერება-უბედურებას შორის — ჰგავს კლასიკურ ტრაგედიათა პროტაგონისტებისას, იმავდროულად ეს არსი ახალ დროში კარიკატურულ სახეს იძენს. თუ იქ, ვაჟასთან, ესქილესთან დიდი ვნებები ბობოქრობს, აქ, დავითის სამყაროში, ტრაგიკული გმირია მაშვალი, რომელსაც თავის სამაშვლო საქმეში კოვზი ნაცარში ჩაუყარდა. სასაცილო და სატირალი კი ის არის, რომ კლდიაშვილის გმირები, მიუხედავად თავიანთი ფიქრების, მიზნების, ოცნებების სიპატარავისა, მიუხედავად არაიუ ჰეროიკული, არამედ ძალიან ყოფითი, წვრილმანი თავგადასავლებისა, სულაც არ არიან ნაკლებ ტრაგიკულნი, ნაკლებ ფიქრაწეწილნი, ვიდრე ზემოთნახსენები ტრაგედიების პერსონაჟები. რადგან ცალკეული ადამიანის ტრაგედიის ხარისხი ამით კი არ გაიზომება, ამაღლებულია თუ დამდაბლებული თვით მიზეზი ტრაგედიისა, არამედ იმით, თუ რა დღეშია თვით ადამიანი. ჩვენ რა დიდ სხვაობასაც არ უნდა ვხედავდეთ, ვთქვათ, ალუდა ქეთელაურის თემიდან მოკვეთის მიზეზსა და იმ რიყეიდან ნაიქვამ ფრაზას, შორის, რაც „ეინლის ეთხრა თავსაფრიან დედაკაცს ერთი წყვილი წინდის გამო — „შეგენანა განა?“ ამით თვით ამ ორი ადამიანის სულიერი ღელვის ხარისხი არ იცვლება.

კლდიაშვილის გმირებისთვის იმ წვრილმანი გეგმებით, რომელთა აღსასრულებლადაც დაჩაჩაქებენ სოფელ-ქეთანაში, მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება, ამიტომ ამ შეჩვენებული სოლომან მაშვალის გაცუცურაკუბას, თავად რომ სამყაროს დაქცევად აღიქვამს, ტკივილიანი თანაგანცდით ხვდება მკითხველიც.

რამდენიმე წინადადებით გადმოვცეთ „სოლომან მორბელაძის“ ფაბულა.

ნაწარმოები იწყება იმით, რომ სოლომანის ოჯახს მოხუცი, გაძვალტყავებული აზნაური მისდგომია და ლამის ყელგამოწეული ეეედრება ვალს, რომელიც მისი მართებთ.

სოლომანი პიროპას მისცემს მევალეს, რომ სამაშვლო საქმის ჩამთავრების შემდეგ, საიდანაც სამოცი თუმანი ერგება, მოვალეს გაისტუმრებს.

ამ საქმის მოკვარახვინებაზეა დამოკიდებული თავის მხრივ გაბეზრებული და სოლომანისათვის მომაბეზრებელი მოვალის მოშორებაც და თვით სოლომანის ოჯახის მომავალი არსებობაც, რაკი ამ უკანასკნელს სხვა არავითარი სახსარი არ გააჩნია.

სოლომანი თავს არ იზოგავს, პატიოსნებაც დავიწყებული აქვს და სვინდისიც. ცოდვათაც აღარ მიაჩნია. თუკი რაღე წაგლეტა, წაგაცქვნა, მოგატყუა, გაგაცუცურაკა! ყველაფერი დავიწყებული აქვს ამ ოხერი გაფშეკებული კუჭის გამოისობით... დასწყევლა ღმერთმა ხელმოკლე აზნაურის უსაშველო, გაძაღლებული ცხოვრება! რითი გამოაქვთ თავი, მეტი გზა რომ აღარ აქვთ? ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე ტყუილი და უპირულობა! რა გამოვიდა ორი თვის ჩემი წანწალიდან? მოვატყუეთ, მომატყუეს და ერთი მოტყუებული ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდევ. საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გეეღირსოს... ღმერთო, ღმერთო! — სასოწარკვეთილებით წამოიძახა უკანასკნელი სიტყვები საბრალო სოლომანმა და მისი გული თითქმის სიბრალულით აივსო ყოველი ღვთის გაჩენილისა და დაჩაგრულისადმი; ამათ რიცხვში, რასაკვირველია, თავის ჯორისადმიც, რომელიც თურმე ბევრს ვერაფერს სიამოვნებას ხედავდა ღარიბი პატრონის ხელში, მაგრამ მაინც ყოველთვის მისი მორჩილი, ერთგული მოსამსახურე, ხანდახან ამხანაგიც იყო და რომელიც აგერ ახლაც **თავდაუზოგველად მიაქროლებდა სახლისკენ თავის ნაღვლიანს, შავუკუღმა ფიქრებში წასულ ბატონსა“.**

დავიმახსოვროთ სურათი ერთგული ჯორისა და მისი აღელვებული ბატონის დუეტისა. ამასთან პირველთქმულს დავუბრუნდეთ.

რაში გამოიხატება სოლომანისა და თხზულების სხვა პერსონაჟების ტრაგედია?

მიხუცი პლატონი, რომლის ვალიც სოლომანს მართებს და ურომლისოდაც შვილს სასწავლებლიდან გამოურიცხავენ, იძულებულია ან ეხვეწოს სოლომანს, ვალი დამიბრუნეო ან სამრთალს მიმართოს და ძალით წაართვას მიცემული. არც მუდარით გამოსდის არაფერი კუდის რიკამდე გატყავებულ აზნაურ მორბელაძესთან და „სამართალშიც“ უფრო მეტს წაართმევენ და გააწამებენ, როგორც ამას სოლომანი იქადნება.

რა გზას დაადგეს პლატონი?

ბესარიონ საქარაძემ ან უნდა ითაღლითოს და ატყუოს მაშვალიცა და მოყვარეც, ანუ ან სული უნდა წაიწყმიდოს ყოველდღიური ტყუილებით და სხვაც გაამწარაოს, ან მშვენიერი ელპიტე უნდა დიტოვოს სახლში შინაბერად.

სოლომან მორბელაძემ კი უნდა აბითურის ყველა, მოვალეც, სიძის ოჯახიც, საპატარძლოს სახლეულიც და ამით ორივად გროში აშოიოს, ან ამ ამბებზე უნდა აიღოს ხელი და დაელოდოს მაგზაციერს, როდის ამოხდის შიმშილით სულს, თუ იმედგადაწურული მოვალე როდის მოულებს ბოლოს.

ერთი სიტყვით, ჭეშმარიტი ტრაგედიების დარად, არჩევანის უფლება კლდიაშვილის გმირებსაც მხოლოდ ორ უბედურებას შორის აქვთ, იმ განსხვავებით, რომ ისინი იმავდროულად სასაცილონი არიან, პატარა ამბების გამო გამოწვეული დიდი სულიერი ღელვისა და იმ თაკვგადასავლების გამო, რომელსაც, როგორც წესი, უშედეგოდ ირჩევენ ბედნიერებიდან თავდასაღწევად. ამასთან, რიგორც წესი, [illegible] ყოველივის არჩევანის იოლ გზას მიმართავენ. ეს ტრაგიკომიკურობა, ცხოვრებისაგან შემოთავაზებული გროტესკი მაღალი ადამიანური ვნებებისა ყველაზე ლაკონურად კაცისა და ჯორის დუეტის იმ სურათშია გამოხატული, რომელზეც ზემოთ შევაჩერეთ თქვენი ყურადღება.

ერთგული ჯორი **„თავდაუზოგველად მიაქროლებდა სახლისკენ თავის ნაღვლიანს, შავუკუღმა ფიქრებში წასულ ბატონსა“.**

ეს ფინალია თხზულებისა. სხვაგანაც გვხვდება ნაწარმოებში ამგვარი პასაჟი. მღელვარე ფიქრებით შეპყრობილი სოლომანი გადმჯდარა ჯორზე. რომელიც **„გაფრინდა, რაც ღონე ჰქონდა, და თან თავისი აღელვებული მხედარიც გაიტაცა“.**

არ შეიძლება ამ სურათმა და ამ ლექსიკამ „გაფრინდა“, „აღელვებული მხედარი“, „თავდაუზოგავად მიაქროლებდა“. „ნაღვლიანი. შავ-უკუღმა ფიქრები“ რემინისცენცია არ აღძრას იმ ნამდვილი მხედრისა, ნამდვილ მერანზე ამხედრებული, შავად მღელვარე ფიქრით, სახლისკენ კი არა, სახლიდან რომ მიჰქრის შავ ბედთან საბრძოლველად.

ახლა წარმოვიდგინოთ, როგორია კონტრასტი მერანით მიმქროლ., მაღალი იდეალებით ანთებულ შავ ბედთან მებრძოლ ბარათაშვილისეული ოცნების მხედრსა და ჯორით სახლისკენ გაქცეულ. ასევე ბედთან მებრძოლ, მაშვლად ქცეულ აზნაურს შორის.

ასე რომ, დავით კლდიაშვილმა, თუკი ეს რემინისცენცია სხვისთვისაც გასაზიარებელია, თავისი გენიალური კალმით ვიზუალურადაც შეუდარებლად წარმოგვიჩინა ახალი დროის კინონბითი და ერთდროულად ტრაგი-კომიკური ყოფა.

გაგრძელება იქნება

იუმორის კვერდი — წუთშესვენება



არც რა მიშველა ტირილმა,
არცა ცრემლების დენამა,
მიშველა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.

ხანდახან მეცნიერებიც იცინიან

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ცხოვრებიდან შეკრიბა ბორის დარჩიამ

მოხდა ისე, რომ ინსტიტუტიდან დაითხოვეს ცნობილი მეცნიერები გრიგოლ კიკნაძე და დავით კობიძე, თანაც, ასეთი ფორმულირებით: „ინსტიტუტის გაძლიერების მიზნითო...“ ამავე დროს, ზოგჯერ „ზევიდან მითითებით“, ინსტიტუტში გადმოიყვანდათ ცეკასა თუ სხვა პარტიულ სამუშაოზე მყოფი მუშაკები. ერთი ასეთი გადმოყვანისას კორნელი კეკელიძეს უკითხავს: რატომ გაიკეთეს ესო?

— ინსტიტუტის გასაძლიერებლადო, — უპასუხია გიორგი აბზიანიძეს.

— მერედა, ის ადგილები რომ დასუსტდეს, საშიში არ იქნება? — ცოტაოდენი ღელვის შემდეგ ჩაულაპარაკია ბატონ კორნელის და თვალები ეშმაკურად ასციმციმებია.

* * *

1961 წელს დასლაგებლებს მასტიკასთან შერკვევისას ბენინი აუყოლქდათ. და თვალის დახამხამებაში ინსტიტუტის შენობა ხანძარმა მოიცვა. ჯერ ცეცხლმა და შემდეგ მეხანძრეთა გამეტებამ მიაყენეთ მიაშვებულმა წყალმა შენობა ძლიერ დაზიანა. მწერალთა კავშირში (ალბათ, ხუსრიანით) ზოგიერთი, თურმე, ქილიკობდა: გიორგი ლეონიძემ ინსტიტუტი დაწვა, აქ ხმას ბატონი გიორგის კურამდეც მივდნა.

ერთ დღეს, სამუშაო საათებისას ინსტიტუტის თანამშრომლები ნოდარ ალანია და ბენო დიბორჯგინიძე დირექტორს, გიორგი ლეონიძეს, ჭეშში გადაჭრიან.

— აქა ხარო, სამსახურში არ დადიხართ! — მისებურად დაუბუზღუნა გიორგის.

— შეხვედრაზე სასაუბროდ გამოვედით და, აი, უკან ვბრუნდებითო. — თავი უმართლებია ნოდარს.

— არა, არა, არ დადიხართ! თუმცა, როგორც საჭიროა, არც მე დავდივარო, — დაუყოლებია გიორგის.

იმხანად გიორგი ლეონიძეს ერთი თანამშრომელი უპირისპირდებოდა, ინსტიტუტისადმი ბულგრალიზმას აბრალებდა და ხმას ავრცელებდა: ჩვენი დირექტორი ნაშუადღევს მწერალთა კავშირში მაგიდიდან თავის სამუშაოს აკრეფს და იტაცებს, წავედი ახლა ჩემს კრეტინებთანო. ივივე, სიცილით კი არა, ჭიხვინით ჰყვებოდა: მკითხეს, დირექტორს ინსტიტუტში თუ ხვდებიო, მე მიპასუხე — შარშან ტელევიზორში რომ ახალი წელი მოგვილოცა, ეერმე თვალი არ მოიკრავს-მეთქი.

ახლა, ამ შეხვედრისას, თავისი კოლეგის ეს პოზიცია და ნაუბარი რომ იცის, ბენო დიბორჯგინიძე დირექტორს „იცავს“ და „აჩხეუებს“:

— რასა ბრძანებთ, ბატონო გიორგი, თქვენი ყურადღება ჩვენ არ გვაკლია. ახლახან არ იყო, რომ ჩამოგვაარეთ და ცეცხლი შეგვინთეთ!

— რას ამბობ, კაცო, როდის შეგინთეთ ცეცხლი! — უცებ უჯავრდებია ბატონ გიორგის.

ნოდარი და ბენო მაშინვე მიმხვდარან, რამაც გაღიზიანა დიდი პოეტი, და ახსნა დაუწყიათ, რომ „ცეცხლის გაჩენა“ შეუუცხუნების აზრით იყო ნათქვამი და არა პირდაპირი გაგებით.

* * *

ინსტიტუტის წინ სარდაფში რესტორანი „გემო“ იყო. ერთხელ აქ ინსტიტუტის თანამშრომლებს სადილი გაუგრძელდათ და ნადიმში გადაეზარდათ. ერთ-ერთმა ვიწრო სარკმლიდან დაინახა და ფეხსაცმელებით იცნო ინსტიტუტის უფროსი თაობის თანამშრომელი, რომელმაც ჩაიარა. უმალვე წამოხტა, დაეწია და სუფრასთან მოიპატიჟა. მოსულმა მხოლოდ ერთი ჭიქა ღვინო შესვა, მადლობა გადაიხადა და სასწრაფოდ წავიდა.

არ გასულა ნახევარი საათი, სარდაფში ინსტიტუტის მნე ვალიკო ყუშიტაშვილი გაჩნდა და მოქეიფეებს აცნობა: დირექტორი გეძახითო, ახლავე უნდა წამოხვიდეთო.

უმალვე ადგნენ და რამდენიმე წუთის შემდეგ გიორგი ლეონიძის კაბინეტში ფეხაკრეფით შეიჭურენ. იქვე დახვდათ მათ მიერ მიპატიჟებული სტუმარიც.

— რასა ჰგავს ეს, სამუშაო დრის რესტორანში ხედავთ! — ბრაზობს ბატონი გიორგი. ეკვლას ეკითხა, მიიგვანანილი, რამდენიმე საღამოდ შემდეგ კი ამბობს:

— ...ქეიფი და დროსტარება არ ... ასაც არ გცოდნიათ, ეს უნდა დაბეჭდეთო!

* * *

1962 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტებიანი გამოცემის მოსამზადებლებისას (იგი 1966 წელს დაიბეჭდა), როდესაც განიხილეს სტრიქონი — „გითხრობს, გკადრებს: ნუ ამოგწყვეტენ, არის შენგან არ საქნელი“, აკაკი შანიძე მოიგონა: პოემის 1937 წლის საიუბილეო ტექსტის დამდგენ კომისიაში ხელნაწერებს ამუშავებდა ორი ჯგუფი ილია აბულადისა და მამია დულუჩავას ხელმძღვანელობით. მიმდინარეობდა მძიმე, ღაბაული და ქარცგამცლელი შრომა. ამ სტრიქონის შესწავლისას მამია დულუჩავას დაუმოწმებია ის ხელნაწერები, რომლებიც „გკადრებს“ სიტყვას „გ“-ს გარეშე წარმოგვიდგენენ და უთქვამს:

— ა. ბატონო, ოვითონ რუსთველი ამბობს „კადრებს ნუ ამოგწყვეტთო!“.

* * *

იურიდიულ ფაკულტეტზე შესასვლელად სოფლიდან ჩამოდის ბენო დიბორჯგინიძის დისშვილი. დიდი იმედით არის, ბიძია მოუწყობელს როგორ გამიშვებსო! ამ დროს ბენო სოფელში იმყოფება და ნოდარ ალანიას სწერს:

— ჩემო ნოდარ! ივლისის ბოლოს ჩვენი აკადემიის გამოცემლობაში ჩემი წიგნის საკორექტურო თაბახები იქნება. პირველ აგვისტოს ჩემს დისშვილს ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდა აქვს, ჩაიჭრება, ორში თუ არა, სამში ან ოთხში წამოვა და გამოატანეო.

* * *

გიორგი ზაუტაშვილმა, კარგმა ლიტერატორ-მკვლევარმა და სამეგობრო კაცმა ოჯახური საქმე კერა და ვერ ააწყო. ოთხიდან ორივე უხეთ ხეებრად დაბრუნებულს რამდენიმე ცოლთან მოუხდა გაშორება. მესამე ცოლთანაც, უფრო სიყვარულთან, გაუთავებელი კონფლიქტი ჰქონდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სიყვარულმ, მას ჩვენთან, სამსახურში, უწოვა. ლირექტორმა საქმის გასარჩევად პარტორგანიზაციის მდივანი ბენო დიბორჯგინიძე და ადგილობრივ თავჯდომარე ვახტანგ ჭელიძე გაგზავნა.

ბინაზე გიორგისა და სიყვარულის შორის დაუწყებელი პოლემიკა გაიმართა. გაწიწმატებული ქალი ბინის გაყოფას მოითხოვდა: მაგან ისეთი რამ მკადრა, ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელიაო და რაღაც ამბის მოყოლა წამოიწყო.

— ეგ არ თქვა, მაგაზე მე ხომ დაგაბეჭდინეთო! — სიტყვას აწყვეტინებს გიორგი.

— რაო, რა ჰქენი, გიორგი? — ყურებს არ უჯერებს ბენო.

— დავაბეჭდინეთ, ორჯერ დავაბეჭდინეთ! — თავდაჯერებით იმეორებს გიორგი.

ბენო ჩუმად ვახტანგს ეკითხება, რას ნიშნავს ეს სიტყვაო. ვახტანგი მხრებს იჩეჩავს.

— სიდედრი დაბეჭდინეთ? არ გრცხვენია, გიორგი, ეს ჰქენი და ამბობს კიდეც? — აღშფოთებას ვერ მალავს ბენო.

— კი, ნამდვილად დაბეჭდინეთ! — კვლავ თავისას გაიძახის გიორგი.

— ჰოდა, თუ სიდედრი დაბეჭდინეთ, ჩვენ რაღაც წამოგვიყვანე აქ?! — გულმოხვლად თქვა ბენომ და აჩქარებული ნაბიჯით გარეთ გაბრუნდა.

მალე ვახტანგიც გამოდის და ბენოს ეუბნება: ჩვენ რაღაც გლახა გვგონია და ეს სიტყვა ისეთ არ უნდა ნიშნავდესო.

ამ ამბის შემდეგ ამ სიტყვას ბევრნი ვეძებდით და ვეხეტებოდით ლექსიკონებში.

* * *

მეორე წელს ბატონი ბენოს ეს დისშვილი ისევ გადის ისევე საგანში გამოცდაზე და შინ ხელცარიელი ბრუნდება.

— რა ჰქენი, ბიჭო? — ეკითხება ბენო.

— რა ექენი, ბიძია და, იმ შენმა ამხანაგებმა წამართვეს „შპარგალკა“ და გამომაგდეს გარეთ!

— იმ შენმა ამხანაგმა რა ჰქნა?

— იმან, ბიძია... დაჯდა „აკიოკასთან“, გადაჭყო ხელი გარეთ და თავიდან ბოლომდე გადაიწერა.

— ე, ბიჭო, შენც დამჯდარიყავი იმ ფანდარასთან, რომელი კენედი შენ მყავდი, ვინმეს რომ ტყვია ესროლა?!

იმ დროს კენედი ახალი მოკლული იყო.



* * *

შოთა მიქაშავიძე სასტუმრო „თბილისის“ წინ ღვას. სასაუზმედ შესვლა უნდა, მაგრამ მარტო ვერ შესულა და ვინმე ნაცნობის გამოვლას ელოდება. გამოიარა გიორგი ზაუტაშვილმა, რომელსაც იმჟამად ავადმყოფობა მისძალებოდა და ფერმიხდილად გამოიყურებოდა.

— რას მიირთმევ, გოგია? — ჰკითხა შოთამ გიორგის, როცა მაგიდას მიუსხდნენ და ძვირფასად გაფორმებული მენიუ გაუწოდა.

— ნახევარ ულუფა „ბორშს“ შევჭამ, მეტი არაფერი მინდა! — ისე თქვა გიორგიმ, მენიუსაკენ არ გაუხედია.

შოთამ სხვა საჭმელებთან ერთად ერთი „ბორშიც“ შეუკვეთა.

ოფიციანტმა საუზმესა და მწვადებს ერთი პატარა „ბორშიც“ მოაყოლა და გიორგის წინ დაუდგა.

— ნახევარი ულუფა გითხარი, სავსე რად მოატანინეო? — იწყინა გიორგიმ.

— შენც ნახევარი მიირთვი და დანარჩენი დატოვეო, — ურჩია შოთამ.

— კი, მაგრამ ნახევარი ულუფა ზარალში რატომ უნდა წავიდესო? — ჭირვეულობს გიორგი.

— გოგია, ნუ გადამრიე, სამი პირი ცოლშვილი დატოვე და თავი არ მოგიკლავს და ამ ნახევარი ულუფა წყალწყალა „ბორშის“ დატოვება რა გახდა?! — შეუტია შოთამ.

* * *

ინსტიტუტში შოთა მიქაშავიძე ანდრო მირიანაშვილს ფულზე ჭადრაკს ეთამაშება, აგებს და არ იხდის. მაშინ მას გადაბეჭდილი და გადასაცემად გამზადებული დისერტაცია, თან რომ ჰქონდა, დაუმალეს. შოთამ დისერტაცია ერთ ხანს ეძება: მაგიდის უჯრები გამოაღო, ხან აქ შეახედა, ხან იქ. ბოლოს, ხელი ჩაიქნია:

— მაგის უკეთესი არ შევიდა მის ოჯახშიო!

— ჩაილაპარაკა და ისევ ჭადრაკის დაყვა მიუჯდა.

* * *

ვახტანგ (გუგული) ბაანაშვილმა თავისი მეუღლისა და ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილების ქალების სახელით ასეთი განცხადება დაწერა:

„ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ გიორგი ციციშვილს, ნინო მახათაძის, ლიანა კეკელიძის, ლალი ძოწენიძის ერთსულოვანი განცხადება:

„დაბერდით, დაჭაანაკდით,
ძნელი ყოფილა ბებრობა,
ძალა არ შეგეწევს, თორემ გვსურს
აღვნიშნოთ შვიდნოემბრობა.
ის აღარა ვართ, რაც ვიყავთ,
(ლერწამს რა უნდა მუხასთან),
სად ძალგვიძს გასვლა პარადზე,
ჩვენ უნდა ვისხდეთ ბუხართან.
იმედი არის, გაგვიგებთ,
არ მოგვთხოვთ ახალგაზრდობას,
სხვა მხრივ კი მუდამ ვეცდებით.
არ კუდალტოთ თქვენს ნდობას!“

* * *

ლია ანდღულაძე მოსკოვში სამეცნიერო მივლინებისას ბინად ერთ მარტოხელა, მოხუც ქალთან ჩერდებოდა. როცა ეს ქალი გარდაიცვალა და მოსკოვში მორიგი მივლინებით უნდა წასულიყო, ლიამ ძმას, ლევანს, შესჩივლა: აღარ ვიცი, სად დავბინავდეო.

— სასტუმროში მოგაწყობ. — შესთავაზა ლევანმა.

— იმ რია-რიაში რა გამაძლებინებს?! — იუარა ლიამ, — ისეთი ადგილი მინდა, ჩემთვის ვიყო და მარტოდაც არ ვიყოო.

— მაგას ვერ შეეძლებ, — მიუგო ლერომ, — ასეთი ერთადერთი, ლენინის მავზოლეუმი ვიცი.



ლევა კოდალაშვილის ნახატები

პოეტის ერთი პუბლიცისტური ლექსი

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

1.

ბედმა თუ უბედობამ ერთ ბეწვის ხიდზე შეყარა
გაბეზრებული კაცი და გაბაზრებული ქვეყანა.
ვიკაწვრი ეჭვის ქაცვითა — საითკენ გადაექანა
გაბაზრებული კაცი და გაბეზრებული ქვეყანა?
ხელს ხელი ეძებს, გულს გული, ძონატრებია
მზე ყანას...
ვინ და რა იხსნის უფსკრულის ნაპირთან
მისულ ქვეყანას?

2.

მხარს არ უბამს კაცი კაცს, ხმას არ უწყობს
სიმს სიმი,
ძვლების ტახტზე მორთხმულა ფეოდალი
შიმშილი.
მზის სხივს ვეღარ ასდევენ ვაზები უპწკალონი,
ძლივსღა მოწანწკარებენ სიყვარულის წყარონი.
მუდამ მზად ხარ, გრილ შუბლზე ცხელი
ტუჩი მომადო,
თქვენო უმაღლესობავ, ბატონო ავტომატო!
არავის არ ვეგონო უჯავშნო, უკედელო,
მფარავს შენი ფარ-ხმალი, უფალო რეკეტორო!
გვალვამ გადაგვიძოვა მინდვრები უყანონი...
რომელ ბუჩქს შეჰფარვია ქალბატონი კანონი?..

3.

გამიძახეს დაფასთან, დრო არ მომცეს ბჭობისა...
ჰოი, რარიგ დაფასდა ნიჭი უნიჭობისა!
ზოგი ცის ცხელ ტაფასთან, ზოგსაც
სუნი სდის ობის...
რარიგ დიდად დაფასთა ნიჭი უსინდისობის!
ცივი თქორით ვსველდები, მორევია რული ცას...
შენ როდის აღზევდები, ნიჭო სიყვარულისა?
ვინ მირგავს შხამიან ხეს, რატომ სდუმან
ფრთოსნები...
ღმერთო, მიპატრიარქე ნიჭი პატიოსნების!

სამი კვირა რუსთაველის ქვეყანაში

მეხუთე გვერდიდან

კერძები, რა სადღეგრძელოები! სადღეგრძელო გახსენებაცაა, იმედიცაა და სურვილიცაა ერთდროულად. რამდენი ფიქრი და განცდა უნდა უძღოდეს წინ ყოველ სადღეგრძელოს. სწორედ მათი წყალობით, ქართული სუფრა მეგობართა თავშეყრა და ადამიანთა თანადგომის დასტურია, რაღაც სხვანაირი ყაიდა ცხოვრებისა! ეს წმინდა ქართული ზეიმია, რომელსაც მუდამ მოინატრებ.

მე მადლობას ვუხდი სტუდენტ ვაუებსა და ქალებს, რომელთაც თბილისში შევხვდი და რომლებმაც თავისიანად მიგულვეს. როდესაც ახალგაზრდული გზნება და აღტყინება ქართულ ხასიათს ერწყმის, წამსვე იბადება მეგობრობა. ვიხსენებ ჩემს მეგზურებს, ექიმებს, რომლებმაც თბილისის საავადმყოფოები შემომატარეს. დიახ, ავადმყოფები არც თუ ისე ეტანებიან მათთვის ძვირადღირებულ სამკურნალოებს, პალატებში ლტოლვილები ბინადრობენ, სამედიცინო აღჭურვილობაც მოძველებულია, მაგრამ ქართველ ექიმებს რომ ვუსმენდი, ერთს მივხვდი — მედიცინა ადამიანის მიერ ადამიანის საკეთილდღეოდ გაწეული სამსახურია.

და აი, მე მივმართავ ჩემს ფრანგ მეგობრებს: ნუ იწუწუნებთ სწავლის სიძნელეებზე, მომავალ სირთულეებზე, რამეთუ, მე ახლაც თვალწინ მიდგას გაყინული, ჩაბნელებული პატარა ოთახი, სადაც რამდენიმე სტუდენტი ერთადერთ სახელმძღვანელოს ჩაკირკიტებს; ამოუდექით ერთმანეთს მხარში, ითანამშრომლეთ. და მე ისევ ვიხსენებ ოპერაციას ღია გულზე, რომელსაც თბილისში დავესწარი — საოპერაციო მაგიდასთან ერთი მიზნით შეკრული გუნდი საქმიანობდა; იფიქრეთ იმაზე, თუ რა არის მთავარი ცხოვრებაში — ქართველი ქალები. ყოველგვარი გაჭირვების მიუხედავად, ხეიბარ თანამემამულეებს ევლებიან თავს. ქარიზელმა სტუდენტებმა ბევრი არაფერი იციან საქართველოს შესახებ. ყოველივე, რაც საქართველოზე მოგითხრეს, ჩვენ ვვუსმენდით მომავალი თანამშრომლობის იმედებს მისახავს...

ჩემი მოგონებები უბრალო „მგზავრის შთაბეჭდილებები“ არ გახლავთ. სულს დღესაც ცხოვლად ატყვია ქართული შეხვედრების სითბო და სიყვარული, რომელიც მუდამ თან მახლდა საქართველოში სტუმრობისას.

აჰა, დადგა ჟამი ბოლო სადღეგრძელოსი და მეც ხმას ვუერთებ ჩემი ქართველი თამადების შეძახილს:

„მომავალ შეხვედრამდე, მეგობარო!“

თომა ფასიე

სამედიცინო ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი

გაზეთი „ლა უმორუი ფრანკოფიან“.

თარგმნა
გიორგი ეკიზაშვილმა

თბილისის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე (ქართული და რუსული სექტორი):

ეროვნული ფაკულტეტი (დღისა და დაუსწრებელი სწავლება): საერთაშორისო სამართალი, სამართალმცოდნეობა. ბიზნესის სამართალი.

ეკონომიკური ფაკულტეტი (დღისა და დაუსწრებელი სწავლება): საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. ბიზნესმცოდნეობა. აუდიტმცოდნეობა. სალაროო და საგადასახადო საქმის მენეჯერი. საფინანსო-საბანკო საქმე.

ფსიქოლოგიური ფაკულტეტი (დღის სწავლება): ფსიქოთერაპია, რეკლამის ფსიქოლოგია. კონფლიქტოლოგია. [illegible] ფაკულტეტი: უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული, სპარსული). ჟურნალისტიკა. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა.

ინსტიტუტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით. პერიოდულად ლექციებს წაიკითხავენ საზღვარგარეთელი სპეციალისტები. ინსტიტუტში უცხო ენების სწავლება მიჩქინარეობს გაძლიერებული პროგრამით. გაჩნია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ლინგაფონური კაბინეტი და კომპიუტერული ლაბორატორია. გათვალისწინებულია სამხედრო კათედრის გახსნა. წელიწადეულოათვის უზრუნველყოფილი იქნება სწავლების უწყვეტი ციკლი. სტუდენტები სურვილისაებრ სტაჟირებას გაიკლიან ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში. ფრიადოსნები გათავისუფლდებიან სწავლის ქირისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია. ინსტიტუტში გრძელდება სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან სტუდენტთა გადმოსვლა — II, III და IV კურსებზე.

საბუთების (ატესტატი ან დიპლომი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ოთხი ფოტოსურათი) მიღება დაიწყება აპრილიდან 10 საათიდან 17 საათამდე ყოველდღე, გარდა კვირისა.

მიმდინარე სასწავლო წელს ექსპერიმენტის წესით აბიტურიენტები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ (ადგილი გასაუბრებით).

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია.

ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქუჩა №70 (შეტრო პოლიტექნიკური, სასტუმრო „აჭარის“ გაგრძელებაზე). ტელეფონები: 36-34—06, 36-25-89, 74-23-21.



თარაზულად: 3. პირველი საკონცენტრაციო ბანაკი ფაშისტურ გერმანიაში; 6. ახალგაზრდული მუსიკალური კლუბი; 13. პურეული მცენარე; 15. პერსონაჟი „სამანიშვილის დედინაცვლიდან“; 16. სათევზაო მოწყობილობა; 17. წვნიანი საჭმელი; 19. გერმანელი კომპოზიტორის, რიხარდ ვაგნერის ოპერა; 20. ხალხთა ყოფა-ცხოვრების, მათი ნივთიერი და სულიერი კულტურის შემსწავლელი დარგი ისტორიული მეცნიერებისა; 23. საავჭრო ან სამრეწველო საწარმო; 24. საცირკო სანახაობა ესპანეთსა და ზოგ სხვა ქვეყანაში; 25. მათრობელა სითხე; 26. სახელმწიფო დასავლეთ აზიაში; 29. გერმანული საფეხბურთო კლუბის იტალიელი მწვრთნელი; 30. ფოტოაპარატთან შეერთებული გასანათებელი მოწყობილობა.

შვეულად: 1. საბრძოლო მანქანა; 2. დროის ერთეული; 4. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 5. ხუროთმოძღვრული ძეგლი ქართლში; 7. ხურდა მონეტა ერაყში; 8. ფრანგი მწერალი; 9. გერმანული აღორძინების უდიდესი მხატვარი; 10. მეომრის ჯაჭვის პერანგი; 11. ქართველი მსახიობი; 12. მხარე გერმანიაში; 14. ცნობილი რუსი მსახიობისა და მომღერლის, ვლადიმერ ვისოცკის ტრფიალი; 18. თექვსმეტმარცვლიანი ოთხტაეპიანი ლექსი; 21. დაბალი ხარისხისა, ესე იგი... 22. ანაწყობის სტრიქონთა შორის შუალედის გასადიდებლად ჩასადები ფირფიტა; 27. რელსების საყრდენი; 28. „ფრინველი“ რუსულად.

მთავარი რედაქტორი

ნოდარ ბრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, ჯუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41